

## ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მიგრაცია ენობრივ ჭრილში: მულტიკულტურული განათლების ენობრივი მექანიზმები

#### აბსტრაქტი

მეოცე საუკუნის მიგრაციულ პროცესებს დიდწილად განსაზღვრავდა ომები, რაც იძულებით მიგრაციას იწვევდა. მიგრაციული პროცესები გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნებზე, რომლებიც მიგრანტების ყურადღების ცენტრში ხვდება. შესაძლებელია მიგრაციამ გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშოს ქვეყნის განვითარებაში, თუმცა, იმავდროულად, შესაძლებელია ეს იყოს ეკონომიკურად წამგებიანი მიგრანტების მიმღები ქვეყნისათვის.

განათლებას მიგრანტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალგაზრდა მიგრანტებისათვის რეალიზაცია ახალ ქვეყანაში.

მულტიკულტურული გარემო ქმნის თავისებურებას, რომელიც სხვადასხვა პოზიციიდან განხსვავებულ ადქმასა და შეფასებას მოითხოვს. სწორედ მულტიკულტურულ წიაღშია შესაძლებელი მსოფლიო სურათის სათანადოდ წარმოდგენა. თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები გულისხმობს კულტურათშორისი სწავლების გამოყენებას ახალ ანალიტიკურ პროგრამებში, ასევე, შესაბამისი საგანმანათლებლო სასწავლო და სამეცნიერო მასალების შექმნას.

*საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მულტილინგვური განათლება, ენობრივი კომპეტენციები*

ენა კულტურული ფენომენია, რომელიც მოიცავს მთელ რიგ კულტურულ და ისტორიულ ასოციაციებს.

ზოგ შემთხვევაში, ცალკეული სიტყვებიც კი, კონტექსტის გარეშე, გამოხატავს ცნებებს, რომლებსაც არქეტიპული

კულტურული და სტერეოტიპული მნიშვნელობა გააჩნია. ხოლო ტექსტები, რომლებიც შექმნილია ამა თუ იმ კულტურაში, ამა თუ იმ ენაზე, სავსეა ეთნოკულტურული და ეთნოლინგვისტური მასალით (რეალობებით, სიმბოლოებით, ალუზიებით, იდიომებით, მეტაფორებით, ანდაზებით, გამოთქმებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრთიანი გამონათქვამებითა და ა. შ.). ყოველი ტექსტი შეიცავს არსებული მასალის შეფასებას, გარკვეულ იდეოლოგიებსა და მითოლოგიებს. ტექსტის გავლით კი აზრები და მიმართებები ილექება ცნობიერებაში, შესაბამისად, ტექსტი გარკვეულ გავლენას ახდენს ინდივიდის არქეტიპებისა და სტერეოტიპების, საზოგადოდ, კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბებაში. ენაში მოიაზრება ხალხის კოლექტიური გამოცდილება. ენა ნაციონალური მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ უცხოენოვანი და უცხო კულტურის მატარებელი ენობრივი მასალა ინტენსიური მოხმარების საგანია,

სრულიად მოსალოდნელია, რომ მან გამოადგოს მშობლიური ენის კონცეპტები.

მიგრაცია, როგორც ადამიანის გადაადგილება ან გადასახლება სხვადასხვა ვადით, განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში. მიგრაციის ხასიათი და ინტენსივობა განსხვავებულია ეპოქებისა და ქვეყნების მიხედვით. მიგრაცია, ანუ მოსახლეობის გადაადგილება სახელმწიფოებს შორის საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათს და ცალკეული ქვეყნების დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას.

საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლას ყოველთვის აქვს გარკვეული მიზეზი. ხშირ შემთხვევაში ეს არის ეკოლოგიური კატასტროფები, პოლიტიკური მოტივები, სოციალური მიზეზები. განასხვავებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მიგრაციას.

ინგლისელი მეცნიერი ე. გ. რავენშტაინი (1834–1913) ერთ-ერთი პირველია, რომელსაც ეკუთვნის მიგრაციის შესახებ ვრცელი კვლევა (1885 წ.).

რავენშტაინმა შეისწავლა მიგრაციული პროცესები დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩამოაყალიბა თერთმეტი მიგრაციული კანონი, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე მიგრაციული თეორიები (რავენშტაინი 1977). რავენშტაინის გამოკვლევებში უმთავრესია შემდეგი დებულებები:

- მიგრაცია უმეტეს შემთხვევაში ხდება მოკლე მანძილზე;
- რამდენადაც დიდია ტერიტორიული ცენტრი, მით უფრო მომხიბვლელი და საინტერესოა იგი მიგრაციული თვალსაზრისით;
- ქალაქების ზრდა სწორედ მიგრაციული პროცესების ტალღებთან არის დაკავშირებული;
- მიგრაციული მასშტაბები იზრდება ვაჭრობის მასშტაბების განვრცობასთან ერთად;

- მიგრაციული პროცესები სატრანსპორტო კომუნიკაციებთან არის დაკავშირებული;
- მიგრაციის მიზეზებს შორის ყველაზე მთავარი არის ეკონომიკური საკითხები.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, 2010 წელს მიგრანტების რიცხვმა 214 მილიონ ადამიანს მიაღწია, რაც დედამიწის მაცხოვრებელთა 3.1%-ია. აღნიშნავენ იმასაც, რომ თუ მიგრაცია მსგავსი ტემპებით გაიზარდა, 2050 წლისთვის 405 ადამიანს მიაღწევს (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ინტერნეტ რესურსი).

არსებობს მიგრაციის სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია:

**მიგრაცია განსხვავებული ტიპების მიხედვით** (სეზონური მიგრაცია, მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, მიგრაცია ქალაქიდან სოფელში, ქანქარისებური მიგრაცია, ყოველდღიური მიგრაცია, სასაზღვრო ან ტრანზიტული მიგრაცია).

**მიგრაცია ფორმების მიხედვით**  
(ორგანიზებული მიგრაცია, არაორგანიზებული მიგრაცია)

**მიგრაცია მიზეზების მიხედვით**  
(ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, სამხედრო)

**მიგრაცია სტადიების მიხედვით**  
(გადაწყვეტილების მიღება, ტერიტორიული გადაადგილება, ადაპტაცია)

შიდა მიგრაციის უმთავრეს მიზეზს სამუშაოს ძიება წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან: საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ცხოვრების შეცვლა და პირობების ამაღლება.

მეოცე საუკუნის მიგრაციულ პროცესებს დიდწილად განსაზღვრავდა ომები, რაც იძულებით მიგრაციას იწვევდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა ერაყი, ბოსნია, ზიმბაბვე...). იძულებითი მიგრაცია დამახასიათებელია ავტორიტარული რეჟიმების შემთხვევაშიც. მაგალითად, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში მრავალი ინტელექტუალი ცდილობდა დასავლეთის ქვეყნებში მიგრირებას, აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით

აქტიური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში.

### **მიგრაცია და განვითარება**

მიგრაციული პროცესები გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნებზე, რომლებიც მიგრანტების ყურადღების ცენტრში ხვდება. შესაძლებელია, მიგრაციამ გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშოს ქვეყნის განვითარებაში, თუმცა, იმავედროულად, შესაძლებელია ეს იყოს ეკონომიკურად წამგებიანი მიგრანტების მიმღები ქვეყნისათვის - პირველ რიგში, ფულადი გზავნილების გამო, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტელექტუალური მიგრანტების შემთხვევაში ხდება ე. წ. „ტვინის გადინება“, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს.

### **მიგრაცია და განათლება**

განათლებას მიგრანტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალგაზრდა მიგრანტებისათვის რეალიზაცია ახალ ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ენის შესწავლა და

გარკვეული ცოდნის მიცემა მიგრანტებისათვის აუცილებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში. ამასთან, სახელმწიფო ენის შესწავლა ეხმარება მიგრანტს კულტურულ ინტეგრაციაში, მშობლიურ გარემოსა და ახალ საზოგადოებას შორის ენა გარკვეული ხიდის როლსაც თამაშობს.

OЭCP PISA 2006 წლის მონაცემებით, მიგრაციის თვალსაზრისით აქტიურ ქვეყნებში, ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში მოსწავლე მიგრანტები ისევე კარგად უმკლავდებიან დავალებებს, როგორც იმ ქვეყანაში დაბადებულები. სხვა ქვეყნებს შორის, ავსტრიაში, ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში მიგრანტი ბავშვების უმრავლესობა უკეთესად სწავლობს, ვიდრე ქვეყანაში დაბადებული ბავშვები.

მიგრანტი ბავშვების მაღალი აკადემიური მოსწრება იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში არსებობს სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა მიგრანტებისათვის.

## მულტიკულტურული განათლება

მულტიკულტურული განათლება რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტთან არის კავშირში. პირველ რიგში, ეს არის ეროვნებათშორისი, ანუ მულტინაციონალური გარემო. ამასთან, იგულისხმება, რომ სავსებით შესაძლებელია, მულტიკულტურული სივრცე მოიცავდეს მრავალენოვან გარემოს. აქ იგულისხმება რელიგიური მრავალფეროვნებაც, თუმცა შესაძლებელია, მულტიკულტურული გარემო იყოს ერთ ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა კულტურული სივრცის შემადგენელი. მაგალითად, ინგლისურენოვანი გარემო ბრიტანული და ამერიკული კულტურებით და სხვა. მულტიკულტურალიზმზე მსჯელობისას გამოთქმული საყოველთაოდ მიღებული აზრი გამოიხატება იმაში, რომ თანამედროვე საზოგადოება უფრო და უფრო მრავალკულტურული ხდება. თუმცა, სინამდვილეში თვით ამ დისკუსიის წარმოშობის ფაქტი გამოწვეულია არა იმით, რომ წარსულში საზოგადოება ერთფეროვანი იყო, არამედ

იმით, რომ მისი მრავალკულტურული ხასიათი თვალსაჩინო გახდა მიგრაციული პროცესებიდან და მსოფლიოში მოსახლეობის გადაადგილებიდან გამომდინარე.

სკოლებში იღებენ ბავშვებს განსხვავებული ოჯახებიდან, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, ბავშვებს გააჩნიათ სხვადასხვა ურთიერთობითი, ემოციური და საგანმანათლებლო მოთხოვნილებები, სწავლის გარკვეული ტემპის მქონე ბავშვებს, განსხვავებული უნარებით ან განსხვავებული კულტურული გამოცდილებით (რელიგია, ტრადიციები, ფასეულობები და ა.შ.). ამრიგად, ცნება „მრავალკულტურულობა“ გულისხმობს ურთიერთშეხებას ადამიანის საკუთარ კულტურასა და მისი გარემოცვის კულტურას შორის; ეს კულტურები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან „ერთგვაროვანი“ ეროვნული ჯგუფის ფარგლებშიც კი, მაგრამ თანაარსებობენ უნივერსალურ ფინანსურ და ტექნოლოგიურ საზოგადოებაში. ოჯახში, თანატოლთა წრეში, სკოლაში ბავშვები ერთმანეთს არ ჰგვანან, თუმცა ამჟღავნებენ საკუთარ ხასიათს სხვადასხვა

ფორმით, წარმოაჩენენ რა ამ სახით საკუთარ ინდივიდუალობას. განათლების სფეროში მეტწილად სკოლებს უწევთ მრავალ საკითხთან შეხება, არა ინდივიდუალობის მიზეზით, როგორც ასეთის, არამედ მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმის ურთიერთშეხებისა და სკოლებისა და საზოგადოების მიერ წამოყენებული საგანმანათლებლო მოთხოვნების გამო. ეს საკითხები ეხება სწავლების ყველაზე ეფექტური ფორმების ძიებას ისეთ კლასში, რომელშიც ბავშვების უმეტესობა უცხო ენებზე საუბრობს, ან იმას, თუ როგორ უნდა იქნას გამოძებნილი წონასწორობა ცოდნის შემოწმების საგამოცდო ფორმაზე დამყარებული სისტემის მოთხოვნებს, სწავლის ანალიტიკური პროგრამის შინაარსსა და მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებს შორის.

საზოგადოება შედგება განსხვავებულთა ერთობლიობისაგან, ეს შეიძლება იყოს განსხვავებული კანის ფერი, რელიგია, პოლიტიკური შეხედულებები და სხვა, თუმცა ეს ყველაფერი საზოგადოების შემადგენელი ინდივიდებისა და ინდივიდუალური ჯგუფების

განუმეორებლობასა და განსხვავებულობას წარმოაჩენს. თანამედროვე მულტიკულტურული განათლების სტანდარტი ეფუძნება მრავალფეროვნების ურთიერთპატივისცემას, კულტურათშორის აღზრდას, რაც ქმნის მსოფლიო ღირებულებების შეცნობას.

მულტიკულტურული გარემო ქმნის თავისებურებას, რომელიც სხვადასხვა პოზიციიდან განხსვავებულ აღქმასა და შეფასებას მოითხოვს. მულტიკულტურული გარემო, როგორც სუბსტანცია მუდმივად განახლებადი და ცვლადია, რაც კიდევ უფრო აფერხებს მის ერთმნიშვნელოვან აღქმასა და შეფასებას, თუმცა, სწორედ მულტიკულტურულ წიაღშია შესაძლებელი მსოფლიო სურათის სათანადოდ წარმოდგენა. მულტიკულტურულ ფილოსოფიას საფუძვლად უდევს საერთო ღირებულებები და მსგავსებები. ასეთ დროს ინდივიდი თავს არ გრძნობს იზოლირებულად, განყენებულად.

მულტიკულტურული განათლება რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთობლიობას წარმოადგენს: სკოლამ-

დელი განათლება, სასკოლო განათლება, დამატებითი სასკოლო განათლება, მასწავლებელთა სპეციალური განათლება (მულტიკულტურალიზმი – კულტურათშორისი სწავლება), მასწავლებელთა მომზადება სახელმწიფო ენის / მეორე ენის სისტემური ცოდნის განხრით, უმაღლესი განათლება, მიგრანტი მოსწავლეების მოთხოვნილებების შესახებ მონაცემების შეკრება და ანალიზი, არამიგრანტი მოსწავლეების მოთხოვნილებების შესახებ მონაცემების შეკრება და ანალიზი კულტურათშორისი სწავლების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მულტიკულტურული სწავლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიგრანტების, უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის, არამედ არამიგრანტებისათვისაც. შესაბამისად, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები გულისხმობს კულტურათშორისი სწავლების გამოყენებას ახალ ანალიტიკურ პროგრამებში, ასევე, შესაბამისი საგანმანათლებლო სასწავლო და სამეცნიერო მასალების შექმნას.

## გამოყენებული ლიტერატურა

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - [http://iom.ge/ge/index.php?publications&cd\\_library](http://iom.ge/ge/index.php?publications&cd_library)
- რავენშტაინი 1977 - E. G. Ravenstein and the “laws of migration”, *Journal of Historical Geography*, 3 (1977), 41–54
- სოციალურ და პოლიტიკურ..., 2004 - სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონ-ცნობარი, ლოგოს პრესი 2004
- პიზა, 2006 - OЭCP PISA, 2006 - <http://www.oecd.org/fr/education/scolaire/programmeinternational-pourlesuividesacquisdeselevespisa/pisa2006results.htm>